

ხელნაწერთა ინსტიტუტის
მ ო ა მ ბ ე

I V

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

მოამბე

IV

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი

1962

ილია აბულაძე

ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები

„მრავალთავის“ ზოგიერთი თავის წყარო

IV. მარტულობა ორმოცთა *

ბევლი ქართული მწერლობის ძეგლებს შორის, რომლებიც XI ს.-მდის არიან გადაწერილი, ზოგიერთი რამდენიმე ნუსხით მოიპოვება. ამათი ერთი-მეორესთან შედარება ან ერთსა და იმავე რედაქციას, ანდა სხვადასხვას გამოავლინებს ხოლმე. ეს სხვადასხვაობა კიდევ ან იმით აიხსნება, რომ ერთი მეორის გადაკეთებას წარმოადგენს, ანდა იმით, რომ ისინი ხშირად ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არიან წარმოქმნილი.

XI ს.-მდის გადაწერილ „მრავალთავებში“ შესული თავები, რომელთა უდიდესი ნაწილი თარგმნილი ძეგლებია, უმეტესად ერთ რედაქციას განეკუთვნებიან ხოლმე. მაგრამ ვხვდებით მათ შორის ისეთებს, რომლებიც სხვადასხვა რედაქციას წარმოადგენენ.

როდესაც ერთიდაგივე რედაქციის თხზულებანი აღინიშნებიან ძველ „მრავალთავებში“, ისინი ხშირად ერთმანეთის ზედმიწევნით პირს არ წარმოადგენენ. ეს გარემოება გასაგებიცაა, რადგან ისინი ერთი და იმავე ხანის, ანდა ერთისა და იმავე სალიტერატურო წრის ნაყოფი არ არიან. დრო და წრე ერთი და იმავე რედაქციის ნუსხებს ატყვია. ორთოგრაფია და ლექსიკური სხვაობანი ამის უდაო მოწმეა. ლექსიკური ცვლილებანი ასეთ შემთხვევებში, როგორც ირკვევა, სინონიმების მწკრივს არ სცილდება, რაც, საფიქრებელია, უპირატესად ნუსხათა გადამწერლებისაგან უნდა მომდინარეობდნენ, ისე როგორც ორთოგრაფიული ცვლილებებიც.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რანაირია ლექსიკური სხვაობანი აღნიშნული შემთხვევის დროს, ე. წ. პარხლურისა და სვანურის მრავალთავების მასალას მოვიყვანოთ¹.

* წინა ნაკეთები იხ.: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VI, გვ. 329—347 და ენიშის მოამბე, VIII, გვ. 78—136.

¹ ესენია საკითხავები: თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ, კოსტანტინეპოლელ მთავარ-ეპისკოპოსისაჲ, ხარებისათჳს წმიდისა ღმრთის მშობელისა მარიამისა მთავარ ანგელოზისა გაბრიელის მიერ; თქუმული [მისივე] შობისათჳს იესუ ქრისტესა მარადის ქალწულისა მარიამისგან; თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ათანასი მთავარ-ეპისკოპოსისა აღექსანდრიელისაჲ, ვითარ კაც იქმნა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე და რამეთუ ღმრთის-მშობელი წმიდაჲ ქალწული მარიამ და რომელი-მგე იშვა მასგან ღმერთი და იგივე კაცი; თქუმული დღესასწაულთათჳს, რომელ-იგი მიიწერა იერუსალმდ ისტანანს მიერ მეფისა მართლ-მორწმუნისა, ხარებისათჳს და შობისა მიგებებისათჳს და ნათლისღებისა: ილ. აბულაძე, „მრავალთავი“; ენიშის მოამბე, ტ. XIV, თბილისი, 1944.

სვანური მრავალთავის (A-19) „ხოლო-ს“	საპირისპიროდ	პარხლურშია (A-95) ზოგჯერ	„არა-მედ“ ან „და“.
„ თუსსა-ს“	„	„	„ ზოგჯერ „შენსა“
„ განჭვინა სასმენელნი-ს“	„	„	„ „ „ განჭ-მარტნა სასმენელნი“.
„ მაშინ-ის“	საპირისპიროდ	„ (A-95) ზოგჯერ	„მერმე“.
„ გულის ზრახვა-ს“	„	„	„ „ „ გულის სიტყუა“.
„ გუაუწყეს-ის“	„	„	„ „ „ გუასწა-ვეს“.
„ ქუეყანად-ს“	„	„	„ „ „ „სოფელი“.
„ კმრისა-ს“	„	„	„ „ „ „კაცისა“.
„ თაეი-ს“	„	„	„ „ „ „სულნი“.
„ იხილა რად-ს“	„	„	„ „ „ „ოდეს იხილა“.
„ იფარვიდა-ს“	„	„	„ „ „ „ იმალ-ვიდა“.
„ ჰრქუა-ს“	„	„	„ „ „ „ უთბრა“.
„ ყენა-ს“	„	„	„ „ „ „ კმნა“.
„ რაუამ-ის“	„	„	„ „ „ „ ოდეს“.
„ მთავარ-ის“	„	„	„ „ „ „ წინამ-ძღუარი“.
„ ნოივლინა-ს“	„	„	„ „ „ „ მოვიდა“.
„ თუსსა-ს“	„	„	„ „ „ „ მისსა“.
„ წარემართა-ს“	„	„	„ „ „ „ წარ-ვიდა“.
„ გამოჩინებად-ს“	„	„	„ „ „ „ გამობრ-წვინებად“.
„ მათ დღეთა-ს“	„	„	„ „ „ „ მაშინ“.
„ რამეთუ-ს“	„	„	„ „ „ „ გვითარ-მედ“.
„ კაცად-კაცადსა-ს“	„	„	„ „ „ „ თითო-ეულსა“

ამნაირი მიმართების ნუსხებში ზოგჯერ მეზობელი სიტყვების რიგიც არის ხოლმე შეცვლილი. ყველა ასეთი ცვლილება კი, როგორც აღვნიშნეთ, გადამწერს არ სცილდება.

მაგრამ, როგორც ზემოთვე ითქვა, შეინიშნება ისეთი ვითარებაც, როცა ნუსხები ერთმანეთთან დაპირისპირებით ცალკე რედაქციებს წარმოდგენენ. ესენი უმეტესად დამოუკიდებელი თარგმანებია, შესრულებული ან ერთი და იგივე, ან სხვადასხვა ენისაგან. მრავალთავებში დაცული ერთი ასეთი საკითხავის რაობის გარკვევას ეხება ქვემოთე წარმოდგენილი ჩვენი ძიება. ეს საკითხავია „ორმეოცთა მარტულობა“, რომელსაც ზოგჯერ „სებასტიელთა მარტულობასაც“ ეძახიან.

„ორმეოცთა მარტულობის“ წიგნი დაცულია პარხლურ მრავალთავში, ლენინგრადის ერთს პალიმფესტურ მრავალთავში, უდაბნოს მრავალთავსა და მარტვილობათა ერთ-ერთ ძველ კრებულში. ამ ხელნაწერებს გარდა ძეგლი საზღვარგარეთაც მოიპოვება, როგორც ამას აკად. კ. კეკელიძის სათანადო შრომიდან ვტყობილობთ². იგი დაცულია ბოდლეს წიგნთსაცავში და აგრეთ-

² კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 134.

ვე ათონს, ცნობილს მრავალთავში № 57 (180—186). გამოცემისათვის ჩვენ მხოლოდ იმათ ვიყენებთ, რომელთაც ის სრულად დაუტავს და ჩვენში იპოვება.

მოწოდებული მასალების მიხედვით³ სებასტიელთა მარტვილობის ფრაგმენტი იპოვება ლენინგრადის ერთ-ერთ ხელნაწერში (მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტისა, № 158, 1038 წლისა), რომელიც ერთ ხანს გიორგი ავალიშვილს მოუტანია პეტერბურგში იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან. იგი იოანე მახარებლის სახარების თარგმანებას წარმოადგენს თურმე, რომელიც იოანე ოქროპირს ეკუთვნის⁴. ამ ნაწარმოების ერთი ნაწილი, პირველი 125 ფურცელი (სულ 464 ფურც., ე. ი. 58 რვეულისაგან ყოფილა იგი შემდგარი) მოთავსებული ყოფილა წინათ ასომთავრული ანუ მრგლოვანი ხელით ნაწერ ეტრატზე ისე, რომ ეს ძველი ნაწერი გადაურეცხიათ და „თარგმანის“ ტექსტისათვის გამოუყენებიათ. საბედნიეროდ, ძველი ტექსტის ამოკითხვა რამდენადმე შესაძლებელი ყოფილა. ამოკითხული ტექსტი საკითხავებს წარმოადგენს. მაშასადამე, იგი ერთ დროს «მრავალთავის» შემადგენილი ნაწილი ყოფილა. გარჩეული საკითხავებიდან ერთი შობისა ჩანს; მეორეც ამ ციკლს უნდა ეკუთვნოდეს, საეკლესიო ისტორიის დარგიდან (საკითხავი შეიძლება ევსები კესარიელის საეკლესიო ისტორიიდან იყოს გამოკრებილი); მესამე საკითხავი სტეფანე პირველმოწამის მარტვილობის წიგნის ნაწილს წარმოადგენს; მეოთხე სებასტიელ მარტვილთა ჰომილია ბასილი კესარიელისა, ხოლო უკანასკნელი, მეხუთე, ჩვენთვის საგულისხმო სებასტიელთა მარტვილობის წიგნის ნაწილია.

სებასტიელთა მარტვილობის წიგნის შემონახული პალიმფსესტური ნაწყვეტის ტექსტი თითქმის არაფრით განსხვავდება სრულად დაკული მარტვილობის იმ ტექსტისაგან, რომელიც შესულია ხელნაწერში: H—1708. ნაწერია ისიც ეტრატზე, მაგრამ ნუსხა-ხუცური ხელით, რაც XI ს-ს უნდა ეკუთვნოდეს. ლენინგრადული ნუსხის ფრაგმენტი, როგორც აღვნიშნეთ, მრგლოვანი ხელით არის შესრულებული, რომელსაც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით IX—X ს-ს აკუთვნებენ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის H—1708 ხელნაწერს, რომელსაც სრულად დაუტავს ჩვენი მარტვილობის წიგნი, მისდევს აგრეთვე ამავე ინსტიტუტის A—1109 ხელნაწერში (ე. წ. უდაბნოს მრავალთავში) ფრაგმენტის სახით დაკული (2 r-v) სებასტიელთა მარტვილობის წიგნის ნაწილიც. მოკულობით ეს ნაწყვეტი ლენინგრადულზე მეტი არაა და ტექსტობრივადაც თითქმის მას ხვდება. უდაბნოს მრავალთავი X ს-ზე გვიანდელი არა ჩანს (შეიძლება IX ს-საც ეკუთვნოდეს) და ამდენად იგი ხნოვანობით უმცროსი არაა ლენინგრადულზე, რომლის მსგავსად ისიც მრგლოვანი ხელითაა შესრულებული. ამრიგად, ჩვენი ძეგლის ხსენებული ნუსხები, რომლებსაც ურთიერთთან მიმართებით ტექსტობრივი ერთიანობა ახასიათებთ, IX—XI სს-ის ხელნაწერებს წარმოადგენენ.

³ ეს მასალები დოც. თ. გონიშვილმა გადმომცა თავის დროზე, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

⁴ ცნობები ამ ხელნაწერზე მოეპოვებათ: 1. მ. ბროსეს, Notice des manuscrits géorgiens récemment acquis par l'Académie (№ 2). 2. ალ. ცაგარელს, Сведения о памятниках грузинской письменности. II, СПб, 1889.

სებასტიელთა მარტვილობის წიგნი სრული სახით ჩამოთვლილთ გარდა დაუცავს კიდევ ერთ ძველ ხელნაწერს. ესაა, ე. წ. პარხლური მრავალთავი (A-95, გვ. 422—432), რომელიც XI ს-ის დამდეგს ეკუთვნის. ტექსტობრივ ეს ნუსხა განსხვავდება ზემორე აღნუსხულთაგან. ამდენად, მაშასადამე, სებასტიელთა მარტვილობის ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული წიგნი მოგვემოვება ქართულად, ერთი რამდენიმე ნუსხით, რომელთაგან სრულად მოღწეულია მხოლოდ ერთი (H—1708), და მეორე — მარტო ერთი ნუსხით (A—95), რომელიც აგრეთვე სრულადაა შემონახული.

რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეს ძირითადი ნუსხები, რა ხასიათისაა ეს სხვაობა?

აღნიშნული ნუსხები ერთმანეთს თხრობის მიხედვით ყოველმხრივ მიჰყვებიან. არის აქა-იქ თითო-ოროლა ისეთი წინადადება, რომლებიც ერთს მეორესთან მიმართებით მეტი მოეპოვება, მაგრამ ისინი, ეტყობა, გადამწერის ხელიდან არ გამოდიან, არამედ დამოუკიდებელი უნდა მიმდინარეობდნენ ისეთი უცხო დედნიდან, რომელიც ახლოს მდგარა მეორის დედანთან, მისგან ოდნავ განსხვავებული სახისა ყოფილა.

ორივე სრული ნუსხა რომ უცხო დედნიდან მომდინარეობს (უცხო დედნის თარგმანია), ამას განსაკუთრებით ისეთი ადგილები მოწმობენ, რომლებშიც ერთის სიტყვები მეორეში სინონიმით კი არ არის შეცვლილი, რაშიც კაცს შეეძლო დაენახა გადამწერის ისეთი მიღრეკილება, როგორიც ზევნ ზემოთ წარმოვიდგინეთ სხვა საკითხავებთან დაკავშირებით (სადაც ერთი და იგივე ძეგლის ნუსხები ურთიერთისაგან ძირითადად ამ გზით განსხვავდებოდა), არამედ აქ სრულიად განსხვავებული, ზოგჯერ საწინააღმდეგო ვითარებაც კი გვხვდება. ასე მაგ.:

ბარ ხლო	მრავალთავში	„ქარი“, ხოლო H—1708 ხელნაწერში — „ჰაერი“.
"	"	„მეცნიერ“, „ „ „ — „ბრძენ“.
"	"	„თუთნება“, „ „ „ — „თუთმპყრობელი“.
"	"	„ვითარმცა დაგუსაჯენ ჩუენ“, ხოლო H—1708 ხელნაწერში — „ტანჯვად ჩუენდა“.
"	"	„დაჰსნდეს ჯორცნი“, „ „ „ — „განიროლუა იგი“.
"	"	„სანთელნი“, „ „ „ — „მთიებნი“.
"	"	„ნათელი“, „ „ „ — „მთიები“.
"	"	„უკეთურსა ზრახვასა“, „ „ „ — „ბოროტის მეცნიერებით ზრახვასა“.
"	"	„ერთბამად“, „ „ „ — „ერთგულად“.
"	"	„ხარკსაცა მისცემდეს“, „ „ „ — „აიძულდეს“.
"	"	„მოთხარეს“, „ „ „ — „შეხუტეს“.
"	"	„შეიღულარუნა“, „ „ „ — „იზახა“.
"	"	„რომელ-მგე ინებეთ“, „ „ „ — „გულსმოდგინება თქუენი“.
"	"	„აქუნდა“, „ „ „ — „ეპყრა“.
"	"	„საკუმილავი“, „ „ „ — „უამი“.
"	"	„საკვი“, „ „ „ — „საბლები“.
"	"	„მოჰჰადა პირი“, „ „ „ — „შეხუსრა პირი“.
"	"	„განძლიერდეს“, „ „ „ — „ნუგეშინის-ცემულ იქმნეს“.
"	"	„უთმინობაჲ“, „ „ „ — „სულმოკლეობაჲ“.
"	"	„ძლიერებითა“, „ „ „ — „ბრძანებითა“.
"	"	„მსგავსად სახისა მაგის“, „ „ „ — „გონებისა შენი-საებრ“.

პარხლურ მრავალთავშია „შემეტყველი“/„შინაგან-

		მეტყველი“, ხოლო H—1708 ხელნაწერში — „მსახური“.	
„	„	„ილუაწოს“, „	„ — „იზრუნოს“.
„	„	„განლიგებულნო“, „	„ — „განწირულნო“.
„	„	„განწყოფელო“, „	„ — „მომპოვნებლო“.
„	„	„შეწირულ ვართ“, „	„ — „სახლელ კმნილ ვართ“.

თუ აღნიშნული წყვილები ხელნაწერის გადამწერის ხელიდან ვერ გამოვიდოდა, სამაგიეროდ ასეთი ჩოსალოდნელი არიან ერთისა და იმავე ძეგლის ორჯერ თარგმნის შემთხვევაში. წყაროდ, საიდანაც ქართული ტექსტები უნდა იყოს თარგმნილი, ერთი ჩანს, სახელდობრ სომხური, რომლის ერთი და იმავე რედაქციის ორი მცირედ განსხვავებული ნუსხა ჰქონიათ ხელთ ქართულად მთარგმნელთ. თუ აღნიშნულ წყვილებს სომხური ტექსტის შესაბამის სიტყვებს შევეუდარებთ, ქართულის ნაირსახეობა ადვილად გასაგები ხდება:

- „ქარ-ისა“ და „ჰაერ-ის“ შესაბამისად სომხურშია *ასიოი* (ასევე „ქართაა“ გადმოცემული ეს სიტყვა „ფილეკტიმონის წამებაში“),
- „მცენიერ-ისა“ და „ბრძნ-ისას“ — ჩანს *ნარქი*,
- „თუთნებ-ის“ და „თუთმპყრობელ-ის“ — *ქინსასკაქ*,
- „ეთთარმცა დაგუსაჯუნ ჩუენ-ისა“ და „ტანჯუად ჩუენდა-ს“ — *იოსასქ*,
- „დაჰსდეს-ისა“ და „განირულა-ს“ — *იოსასქ*,
- „ნათლ-ისა“ და „ნთიებ-ის“ — *იოსასკი*,
- „უკეთურსა ზრახვასა-სა“ და „ბოროტის-მცენიერებით ზრახვასა-ს“ — *კარინსარ ან კარაპ-იოსათ სიქსიოიქ*,
- „ზარკასა მისცემდეს-ისა“ და „აიძულებდეს-ის“ — ჩანს *ქსინ*,
- „მობზარეს-ისა“ და „შეხუტეს-ის“ — *ქსინქსინ*,
- „შეიღულარქნა-სა“ და „იზახა-ს“ — *ქინსასქ*,
- „რომელ-ეგ ინებეთ-ისა“ და „გულს მოდგინებდა თქუენ-ის“ — *კარაქსინქსინ მქრ*,
- „აქუნდა-სა“ და „ეპყრა-ს“ — *იოსასკი*,
- „საგუმილაგ-ისა“ და „ჟამ-ის“ — *ასის*,
- „საგიგ-ისა“ და „საბლებ-ის“ — *იოსინ (იოსინქ)*,
- „მოჰადა პირ-ისა“ და „შეჰმუსრა პირ-ის“ — *კარქსაგ*,
- „განძლიერდეს-ისა“ და „ნუგეშინის-ცემულ იქნეს-ის“ — *ქარაქსინქსინ*,
- „უთმინებდა-ისა“ და „სულმოკლებდა-ის“ — *ანძიძქსინქსინ*,
- „ძლიერებითა-ისა“ და „ბრძანებითა-ის“ — *ადიგეიქსინქ*,
- „მაგვსად სახისა მაგის-ისა“ და „გონებისა შენისაებრ-ისა“ — *ქარა ქაროიქი ქიგ*,
- „შემეტყველ/შინაგან-მეტყველ-ისა“ და „მსახურ-ის“ — *არქანსასქ*,
- „ილუაწო-ისა“ და „იზრუნოს-ის“ — *ჩიკასაქ*,
- „განლიგებულნო-ისა“ და „განწირულნო-ის“ — *აქსასქ*,
- „განწყოფელო-ისა“ და „მომპოვნებლო-ის“ — *ქარქსქ* და
- „შეწირულ ვართ-ისა“ და „სახლელ ვართ-ის“ შესაბამისად *ჩინასქ სქრ*:

აღნიშნულ შესატყვისობათა წყვილები სომხური ტექსტის სათანადო სიტყვების თითქმის სრული შესაბამისი არიან; ამათ შეეძლოთ მხოლოდ მიელოთ ასეთი სახე ქართულში. ზოგან ქართულის ამ შესაბამის სიტყვებში სიტყვა-სიტყვითი გადმოღების ცდა ჩანს, ზოგან კიდევ პირუკუ, — აზრის მიხედვით არის შესრულებული თარგმანი. პირველი მომენტი უფრო მეტად პარხლურ ნუსხას ახასიათებს. ხოლო მეორე — სხვა სრული წამების წიგნს (H—1708).

სომხურის გარდა რომ რომელიმე მათგანისათვის სხვა ენაზე არსებული წამების წიგნი, როგორც დედანი, არ უნდა იყოს სავარაუდებელი, ეს იქიდანაც ნათლად ჩანს, რომ ზოგიერთი ზემორე აღნიშნული წყვილის შეუსწორებლობა სხვებზე, თუ არ სომხურით, არ უნდა აიხსნებოდეს. ასეთი წყვილებია:

ა. „საწივი“ და „საბელი“. „საწივი“ სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის მიხედვით „ქედის ბორკილია“, ხოლო „საბელი“ „ზოგადი სახელი არს ყოელთა (+ მკედთა უსხოთა B) შეგრეხილთა“⁵. ამ წყვილისათვის სომხურ ტექსტში *თიონ* გვაქვს; *თიონ*-ი კი ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საგნის აღმნიშვნელი სიტყვაა. ერთ შემთხვევაში იგია „*ჯიონს, კაყაანჲ*“, ე. ი. „საბელი, საკრველი“, ხოლო მეორეში — „*ჯოხი*“, კერძოდ საძვეგელისა (*აანჲჩიქიჭ*). ეტიმოლოგია პირველისა უცნობია, ხოლო მეორე მკვიდრ სომხურ სიტყვად ითვლება⁶.

კონტექსტი, რომელშიც ამ სიტყვას ვხვდებით, შემდეგია: „უბრძანა მსაჯულმან მან შეკრვაჲ მათი, და დადებად სცა საწივი ქედთა მათთა და წარყვანებაჲ მათი ტბასა“ (A—95). „ბრძანა მთავარმან მან შეკრვაჲ მათი, და მოაბეს საბლები ქედთა მათთა და წარიყვანეს... ტბასა მას“ (H—1708). — *Հրամայեաց Կատաւորն Կապել զնոսս, և արկանել տիւնս ի պարանոցն նոցա և ատել . . . ի լինն*“:

პარხლური ნუსხით *თიონ*-საწივი („დადებად სცა საწივი — *արკანს* *თიონს*“) ბორკილი ჩანს, ხოლო მეორე სრული ნუსხით *თიონ*-საბელი ზემორე მოყვანილი *ჯიონს, კაყაანჲ* (საბელი, საკრველი) არის. საწივი-ბორკილი, რომელსაც ქედზე ადებდნენ, არა ჩანს, რისა იყო. თუ იგი ხისა აღმოჩნდება, რაც უფრო საგულვებელია, მაშინ აქ *თიონ*-საწივი სომხური ლექსიკონების *ჯოხია*, ე. ი. ძელი. თუ ასეა, მაშინ *თიონ*-ის ერთგან „საწივად“ გადმოცემა, ხოლო მეორეგან — „საბლად“, შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ქართულისათვის წყაროდ სომხური ტექსტი გამოცხადდება.

ბ. ქართული წამების წიგნებისათვის დედნად სომხურს უფრო სარწმუნოდ სხვა მაგალითი მიგვაჩინებენებს. ესაა: „მსგავსად სახისა მაგის შენისა“ და „გონებისა შენისაებრ“, რომელთაც სომხურით *բայ բարոյից ձեր* შეესაბამება. *Բարբ* ან *բարոյք*-ს სომხურში მართლაც, სხვათა შორის, ეს ორი მნიშვნელობაც აქვს: *կերպ* — სახე და *ճանաչմունք, կարծիք* — გონება⁷. ცნობილი „სახის მეტყუელი“ სომხურად *բարուսխու*-ის სახელს ატარებს, რაც მოწმობს, რომ სომხური *բარբ* ან *բարოյք* აქ (ქართულად) ორსავე შემთხვევაში გავებულია, როგორც სახე.

გ. ასეთივეა ზოგი სხვა წყვილიც. ერთს დავასახელებთ კიდევ. ესაა: „ხარკ-საცა მისცემდეს“ და „აიძულებდეს“, რომელთაც სომხურის *հարկ* უდრის. პირველ შესაბამისში სომხურის *հարկ* — ხარკ ცალკე სიტყვად არის წარმოდგენილი, ხოლო მეორეში („აიძულებდეს“) სომხური *հարկերն*-ის აზრია კონკრეტულად (ლიტონად) გადმოცემული.

პარხლურ ნუსხას, რომელსაც ამიერიდან ცალკე რედაქციაც კი შეიძლება ეწოდოს, გარკვეულ შემთხვევებში მისთვის დამახასიათებელი ზედმიწევნილობისა ანუ სიტყვა-სიტყვითობის გამო, ზოგან *non-sens*-ებიც მოეპოვება, რაც კიდევ უფრო ადასტურებს მის სომხურ დედანზე დამოკიდებულებას.

ერთი ასეთი *non-sens*-ი შემდეგი კონტექსტიდან ირკვევა: „ყოველნი, რომელნი ცხონდებოდეს კეთილად მსახურებითა ქრისტის მიმართ, ხარკსაცა

⁵ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., 1928.

⁶ *Հր. Ա ճ ա ի ա ն, Հայերէն արժուողական բառարան VI*, გვ. 952—954.

⁷ *Առանձն բառարան հայկազնեան լեզուի, II տպագրութիւն, Վենետիկ, 1865.*

მისცემდეს მსაჯულსა მას აგრიკოლას“. სომხურში ამ ადგილს იკითხება: *მას-ძხნსისან ირ გარხაყაჯითიძხნამრ კსჩნ ჯ ზრქათიი, ზარკსჩნ ვინსჲ ყჩიღ ლიონ ჯ დათათლიოქხანს მადრქლიყაიოი*: როგორც შედარებიდან ირკვევა ქართულს აკლია ფრაზა: *ვინსჲ ყჩიღ ლიონ*, ხოლო სიტყვა *ჯ დათათლიოქხანს* (მსაჯულობასა) შეცვლილია სიტყვად — „მსაჯულსა“. ეს არაა შემთხვევითი მოვლენა. ქართული ნუსხის პირველ-დედანს არც დაკლება და არც გადასხვაფერება არ უნდა ჰქონოდა. იქ უნდა წერებულყო: „... ხარკსაცა მისცემდეს ზორვად ბილწთა მათ კერბთა მსაჯულობასა აგრიკოლასსა“. მერმინდელი გადამწერის თვალში ამ ადგილს, ეტყობა, სამართლიანად ბუნდოვანობა დამწვევია, რაც გაუმართავს ისე, რომ „ზორვად ბილწთა მათ“, გაუგებრობის მიზეზი ასეთ წინადადებაში, გამოუგდია და ხარკის მიცემაც გაუპიროვნებია — „მსაჯულსა მას აგრიკოლას მისცემდესო“. ირკვევა, რომ დედნის ერთგულებამ მთარგმნელს ჩაადენინა აღნიშნული ოპერაცია. ეს თარგმანი რომ მას მოეცა არა სიტყვა-სიტყვით, არამედ ისე, როგორც ამას მეორე მთარგმნელი გვაწვდის, მაშინ პირველ მთარგმნელს, მეორის მსგავსად, ყველაფერი უკლებლივ აღმოაჩნდებოდა თავის ადგილზე.

ამავე ქართული რედაქციიდან non-sens-ის მეორე მაგალითი ასეთია; „ჩუენ, შე მძღებელსა ღმერთსა, რომელმან ილუაწოს ჩუენთჳს, ვჰმსახურებთ“. სომხურად ეს წინადადება ასე იკითხება: *„ვასღეთასკარნ ძხრ მათილახ ჩიყაყჳტ“*. აქ „შემძღებელს“ სომხურით *ასღეთასკარ* უპირისპირდება, *ასღეთასკარ*-ში კიდევ *კარ* არის გაგებული როგორც ძალ-ი და მისგანაა წარმოებული „შემძღებელი“ მაშინ, როცა ეს სომხური სიტყვა, როგორც ამას სწორად გადმოსცემს მეორე მთარგმნელი, „უმჯობეს-ს“ აღნიშნავს.

Non-sens-ის კიდევ ერთი მაგალითი ამავე რედაქციიდან შემდეგი იქნება. — „მსგავსად სახისა შავის შენისა დაგედვა სახელი შენი აგრიკოლაე, რამეთუ უდაბნოდ განქცეულ ხარ სიცბილით“. ამის საბადლოდ სომხურშია: *„ღსთ გარიივიღ დიე ხელა ვხვ ანიონ მადრქლიყაიოი, ვანჳქ ქაქიხჩი ქაჳღაჳღიოი ხა“*. „განქცეულ ხარ სიცბილით“ სომხურის *„ქაჳღაჳღიოი ხა“*-ს შეფეარდება. *ქაჳღაჳღიოი*-ის ასე დანაწევრებულად გადმოლება („განქცეული სიცბილით“) იმას ამქვლავნებს, რომ მთარგმნელს არ ესმის კარგად ეს სიტყვა. იგი მას კომპოზიტად წარმოუდგენია და მის ერთ ნაწილს, *ღიოი*-ს, თითქოს *ღხლ*-ისაგან წარმოებულს, განქცეულად სთარგმნის, რაც სწორი იქნებოდა, თუ ეს ნაწილი *ქაჳღ*-თან შეთხზული ცალკე სიტყვა აღმოჩნდებოდა. *ჟაღ* კი, როგორც ჩანს, „სიცბილ-ად“ ესმის. ხოლო რაზეა დამყარებული *ქაჳღ*-ის ასეთი გაგება, არ ირკვევა. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა ძველმა სომხურმა არ იცის. მხოლოდ ერემია ვარდაპეტის ლექსიკონში ვხვდებით „გიჟის“ მნიშვნელობით სიტყვა *ქაჳღან*-ს, რაც, შეიძლება, ჩვენი სიტყვის *ქაჳღ*-ს მართლაც უკავშირდებოდეს. პროფ. პრ. აპარიანს *ქაჳღაჳღიოი* წარმოებულ სიტყვად მიაჩნია *ქაჳღაჳღიოი*-ისაგან, რომლის ეტიმოლოგია მისთვის უცნობია⁹. *სიერ ხაქლავხანს გათარან*-ის შემდგენელთ კი ეს სიტყვა შედგენილად მიაჩნიათ *ქაჳღ*-ისა და *ღხლ*-ისაგან. შეიძლება ჩვენი რედაქციის მთარგმნელი თავისი ასეთი ოპერაციით ხსენებული სიტყვის მიმართ მის აღნაგობას მართებულად შლიდეს, მაგრამ დანაწევრებულად გადმოცემული სიტყვები იმ მნიშვნელობას აღარ ატარებენ, რაც ამ დაუნაწევრებელი სიტყვით ივულისხმება. ეს კი არის „მლიქნე“, როგორც ამას წესიერად გვაწვდის მეორე მთარგმნელი.

⁹ ჯ. მ. ა. ხ. ა. ზ., *ჰაქერჩნ არქათასკარნ გათარან*, VI. გვ. 1125—1128.

ამრიგად, მგონია, რაიმე ექვს აღარ უნდა დაურჩეს ადგილი, თუ დევასკენით, რომ ორმეოცთა მარტვილობის წიგნის ქართული რედაქცია, რომელიც პარხლური ნუსხით არის ჩვენამდის მოღწეული, უექველად სომხურიდან მომდინარეობს, მისგან თარგმნილი ძველია და მასთან გარკვეული ადგილების უფრო ზედმიწევნით ანუსიტყვა-სიტყვით თარგმანსაც წარმოადგენს მეორესთან შედარებით.

ჩვენი ძველის მეორე რედაქცია, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე ნუსხით არის წარმოდგენილი ძველს მრავალთავეში. დედანთან მიმართებით რაიმე საგანგებო non-sens-ს არ ატარებს, მაგრამ, რომ ისიც სომხური დედნიდან მიმდინარეობს, ამას ზემორე მოყვანილნიშანთან ერთად, რაც ლექსიკური წყვილების გარჩევისას შევნიშნეთ, თითონ სომხურისა და ქართული წიგნების ტექსტობრივი ახლო ურთიერთობაც მოწმობს.

სებასტიელთა მარტვილობის წიგნთა გამოძახილი ადრევე შეინიშნება ქართულ ორიგინალურ მწერლობაში. უკვე აკად. კეკელიძის აქვს აღნიშნული, რომ სებასტიელ მარტვილთა შესახებ ბასილი კესარიელის ძვირ შეთხზული ჰომილია, რომლის ძველი ნუსხები თითქმის ყველა ძველ მრავალთავეში მოიპოვება, ხელთ ჰქონია აბოს მარტვილობის წიგნის გამომთქმელს—იოანე საბანისძეს*. საბანისძე ბასილის დასესხებია და მისი ნაწარმოებიდან დასაწყისი სიტყვებიც კი აულია თავისი ნაწარმოებისათვის. აბოს წამების ზოგიერთი ფაქტიური მასალაც აკად. კ. კეკელიძეს ამ თხზულებიდან ჰგონია აღებული. ისინი მას საგანგებოდ აქვს აღწერული თავისი ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ ამათ შესახებ უნდა ითქვას, რომ საბანისძე ჩამოთვლილ ეპიზოდებს იმდენად ბასილის ჰომილიით კი არ უნდა იცნობდეს, რამდენადაც წამების წიგნით. ეს ეპიზოდები მარტვილობის წიგნში უფრო ცხადად არის ნაჩვენები, ვიდრე ჰომილიაში, სადაც გაკერით არის მხოლოდ მითითებული წამების ამა თუ იმ მომენტზე.

სებასტიელთა მარტვილობის წიგნის გამოძახილი საბანისძეზე ადრეც გაისმის ჩვენს მწერლობაში. ევსტათე მცხეთელის მარტვილობის აღმწერელს, როგორც ეს აკად. კ. კეკელიძემვე შენიშნა, სიტყვებით: „რომელნიმე ტბასა შინა ყინელითა მოსწყდეს“ ნაგულისხმევი აქვს ორმეოცი მოწამე¹⁰, რომელთა წამების წიგნში დაწვრილებით არის საუბარი როგორც ტბაზე, ისე ყინულზედაც, რითაც ესენი აწამეს. ბასილი კესარიელიც, მართალია, ეხება ამ მომენტებს, მაგრამ რატომ მისი ჰომილია და არა თვით წამების წიგნი უნდა იყოს უშუალო წყარო ქართველი აგიოგრაფისათვის?... თუ რად ექცევა ასეთი საგანგებო ყურადღება ბასილის ხსენებულ ნაწარმოებს ორსავე შემთხვევაში, არსადაა აღნიშნული აკად. კ. კეკელიძის ნაშრომებში.

ორმეოცთა მარტვილობის ქართული წიგნის ნუსხების უმრავლესობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პარხლურისაგან განსხვავდება. ისინი ერთს დამოუკიდებელ რედაქციას წარმოადგენენ, და ამდენად, მასასადამე, სულ ორი რედაქცია მოგვეპოვება. რა დროს ეკუთვნიან ისინი? ერთი რედაქციის ამსახველი ნუსხები, როგორც ვნახეთ, IX—XI სს-ის ფარგლებში თავსდება, მეორე კი, რომელიც ერთი ნუსხით არის ჯერჯერობით ცნობილი (პარხლურით),

* კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტ. I, თბ., 1941, გვ. 477.

¹⁰ კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვ. I, თბ., 1935, გვ. 45—46.

XI ს-ს ეკუთვნის. ცხადია, პირველი IX ს-მდის იქნება ნათარგმნი, ხოლო მეორე—XI ს.-მდის. მაინც რა დროს არის შესრულებული ერთი ან მეორე?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის, რომ ორივე რედაქციისათვის, როგორც ვნახეთ, წყაროდ სომხური გამოდგა. გაირკვა, რომ მთარგმნელები ერთნაირ რედაქციას იღებენ სათარგმნელად. მათი დედნები ურთიერთისაგან იმით გასწავადდება, რითაც საზოგადოდ ერთისა და იმავე ტექსტის ცალკე ნუსხები: მცირეოდენი შესწორებითა და ლექსიკური ცვლილებით, რომლებიც გადამწერის ხელით სრულდება ხოლმე ჩვეულებრივ. გამოვლინდა ისიც, რომ ერთს, პარხლურს, სომხურობის კვალი უფრო აშკარად ატყვია, მეორეს კი—ნაკლებ.

თარგმნა სომხურიდან ძველად IX—XI სს-მდის (საიდანაც მარტვილობის წიგნებს მოუღწევია) ყოველთვის იყო შესაძლებელი. უფრო მეტად ეს საქმე VII—VIII ს-მდის წარმოებდა. ამ დროიდან თარგმნა თანდათანობით შენედა, რადგან ქართლისა და სომხეთის ეკლესიათა გზების გაყრა ხელს აღარ უწყობდა ლიტერატურულ წრეთა თანამშრომლობას. მართალია, X ს-ში ჯერ კიდევ შეინიშნება სომხურიდან თარგმნა ქართულად, მაგრამ ის უკვე შეზღუდული სახით წარმოებს გარკვეულ წრესა და ადგილს. ქართული და სომხური ლიტერატურული წრეების აქტიური ურთიერთობის მოშლის გამო ეს ახალი თარგმანები აღარაა ისე გამოკვეთილი და გამართული სალიტერატურო ქართულის მხრით, როგორც წინათ; მათ დედნის გავლენა ენობრივად, კერძოდ ლექსიკის მხრით, მეტადრე კომპოზიტი სახელებისა და რთული ზმნების გადმოცემისას, დიდად ატყვია, რომ არაფერი ვთქვათ ქართულ-სომხური საერთო ხმარების სიტყვათა ზედმიწევნით გადმოღებაზე, უმეტესად ტრანსლიტერაციის სახით, ასო-ასოდ.

ამ მხრით თუ შევხედავთ ორმეოცთა მარტვილობის წიგნის ქართულ რედაქციებს, შევნიშნავთ, რომ ისინი თავისი გამართულობითა და განწყობით, საერთოდ ენობრივად, იმ ხანის თარგმანს უნდა წარმოადგენდნენ, როცა ქართულ-სომხური სალიტერატურო წრეების კავშირი ვრცელი და მჭიდრო იყო. ამ თვისებით უფრო მეტად ის რედაქციაა აღკურვილი, რომელიც H—1708 ხელნაწერშია წარმოდგენილი. ამდენად, ცხადია, აღრინდელიც ეს რედაქცია უნდა იყოს. მასთან შედარებით გვიანდელი მაშინ ის რედაქცია იქნება, რომელიც პარხლურ მრავალთავს დაუცავს, რადგან, როგორც ზემოთ ვნახეთ, მეორესთან შედარებით, მას გარკვეულ შემთხვევებში დედანთან უფრო მეტი ზედმიწევნილობა და სიტყვა-სიტყვითი მიმდევრობა ახასიათებს.

სებასტიელთა მარტვილობის ქართული რედაქციები რომ აღრინდელი ხანის (VII—VIII ს.-მდელ) თარგმანს უნდა წარმოადგენდნენ, ეს ტექსტების ზოგიერთი ჩვენებითაც დასტურდება. ლექსიკის შესწავლის შედეგად, მაგალითად, ერთი თვალში საცემი გარემოება შეინიშნება: სომხური ტექსტის გარკვეული სიტყვების მიმართ ქართული თარგმანები სისტემურად გარკვეულ სანაცვლოს ხმარობენ, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ისეთ სინონიმებს წარმოადგენენ, როგორიც აღრინდელი ქართული მწერლობის ძეგლებისათვის (მაგ., ოთხთავებისათვის) არის დამახასიათებელი. ასე მაგ.:

Դասուսուი-ისათვის პარხლურშია „მსაჯული“, ხოლო H—1708-შია „მთავარი“ (ასეა ეს ყველა 13 შემთხვევაში უკლებლად).

Բონსილი-ისათვის პარხლურშია „მძლავრი“ (5-ჯერ) და „მსაჯული“ (1-ჯერ), ხოლო მეორეშია „უსაჯული“ (2-ჯერ), „მთავარი“ (3-ჯერ) და „მძლავრი“ (1-ჯერ).

- მქინიორ-ისათვის პარხლურშია ჟერისაგანი, ხოლო მეორეშია ჟერისკაცია.
- მქინიორიქსინ-ისათვის პარხლურშია ჟერი, " " ჟერისკაცება.
- ზხო-ისათვის პარხლურშია ჟყალი, მდინარე, ხოლო მეორეშია ჟმდინარე.
- მინხ-ისათვის " ზორვა" (5-ჯერ), ჟგება" (1-ჯერ), ხოლო მეორეშია ჟმსა-ხურება" (5-ჯერ) და ჟგება" (1-ჯერ).
- შაოქინ-ისათვის პარხლურშია ჟჯორცი" (3-ჯერ), ხოლო მეორეშია ჟჯუაში" (2-ჯერ) და ჟჯორცი" (1-ჯერ).
- ჟასხრაყმ-ისათვის პარხლურშია ჟლუაწლი", ხოლო მეორეშია ჟბრძოლა" (ყველგან, სულ 3 შემთხვევა).
- ზანხინ-ისათვის პარხლურშია ჟმტარვალი", ხოლო მეორეშია ჟმსახური" (ყველგან, სულ 2 შემთხვევა).
- შაყასაოქ-ისათვის პარხლურშია ჟმტარვალი", ხოლო მეორეშია ჟმსახური" (ყველგან, სულ 2 შემთხვევა).
- მხეძიქსინ-ისათვის პარხლურშია ჟსიტოვ", ხოლო მეორეშია ჟსიტე" (ყველგან, სულ 2 შემთხვევა).
- ქაყრაყხო-ისათვის პარხლურშია ჟმოდღარი", ხოლო მეორეშია ჟმასწავლელი".
- ლისაოქ-ისათვის პარხლურშია ჟსანთელი/ნათელი", ხოლო მეორეშია ჟმთიები".
- ქსიქსინ-ისათვის პარხლურშია ჟმუნქუსე" (3-ჯერ), ხოლო მეორეშია ჟმეყსეულად".

განსხვავებულად აქვთ წარმოდგენილი ერთი გეოგრაფიული სახელიც:

ზაოქიქ-ისათვის პარხლურშია ჟგამირეთი", ხოლო მეორეშია ჟკაპადოკია".

ეს ჩვენება, ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ მარტვილობის წიგნთა აღმოცენების გარკვეულ ხანაზე (V—VIII სს-ზე) მიათითებს, იმის მაუწყებელიც უნდა იყოს, რომ თარგმანები ერთსა და იმავე სალიტერატურო წრეში არ უნდა იყოს შესრულებული, ივინი სხვადასხვა გარემოში წარმოშობილი უნდა იყვნენ.

დასასრულ, მოვიყვანთ ნუსხასაც სომხურთან საერთო სიტყვებისა, რომელთაც ქართულ რედაქციებში ვხვდებით.

1. ამენ — ამენ: ჟუჟნთი უჟუნსამდე, ა მ ე ნ" (ორივეგან) — აჟაჟხოხანს აჟაჟხოხნიჟ, ა მ ე ნ:
2. გუნდი — გონი: ჟიყენეს . . . გ უ ნ დ ს ა ერთსა შინა" — ჟიყენეს გ უ ნ დ ს ა შინა ერთსა" — ხინ ხ ი ე ნ ი მ ილია; სძლეთ ერთა მათ გ უ ნ დ თ ა — ჟძლევად ყოველთავე ერთსა შორის გიქმნიეს" — ეჟაჟოქსინ ხე-ლივიანე ე ნ ი ა ე ნ მბაჟხვიცეჟ:
3. ზორვა — ვინხ: ჟაიძულეზდეს მათ, რაჟთამცა უ ზ ო რ ვ ს", — ჟაიძულეზდეს მ ს ა - ხ უ რ ე ბ ა დ" — ეონაჟაოხინ ე ნ ი ხ ე; ჟარა თავს-იდვეს ზ ო რ - ვ ა დ" — ჟაიძულეზდეს გ ე ბ ა დ" — სოქაჟხინ ე ნ ი ხ ე; ჟუ ზ ო - რ ე თ ლმერთთა" — ჟმსახურეთ ლმერთთა" — ე ნ ი ხ ე ე ჟ ასოილახიგინ; ჟანუ უ ზ ო რ ე თ ლმერთთა" — ჟანუ უ ზ ო რ ე თ ლმერთთა" — კამ ე ნ ი ხ ე ასოილახიგინ:
4. ეამი — ძამ, ძამანსაქ: ჟიყო ქ ა რ ი (?) ივი ზამთრისაჟ" — ჟიყო ე ა მ ი ზამ-თრისაჟ" — ჟე ძ ა მ ბქაჟაჟინ; ჟეზთა მათ ლუქიანე მეფისათა" — ჟე ა მ თ ა მათ ნეჟეს მეფისათა" — ე ნ ი ძ ა მ ა ნ ა კ ა ლქიქანქე პაყალოქი:
5. ლირბი — ქიქ: ჟდაიყო პირი, რომელი იტყვს" — ჟურცხუნოჟ და ლ ი რ ბ ი პირი, რომელი იტყოდის" — მ ქ ი ქ ხეხე, იქ ჟასაჟ:
6. ნიში — ნჟან: ჟდა მიეცა ველთა მისთა ყოფად ნ ი შ ბ ი ს ა და სასწაულეზებისა" — ჟდა მიეცა მას ყოფად სასწაულეზი და ნ ი შ ე ბ ი" — იოქიქ ხ მონიოქ ნჟანს ა სოილახიგინ:
7. პატივი — აჟაოქ: ჟპ ა ტ ი ვ ს ა და ნიჟსა ლირს იქმნეთ" — ჟმოლეზაჟ პ ა ტ ი - ვ ი ს ა ჟ" — ა ჟ ა თ ი ლ ა ხ აჟაჟეღსაჟ აჟქანქ ქინხ; ჟპ ა ტ ი ვ ს ა ლირს იქმნეთ" — ჟპ ა ტ ი ვ ს ა ლირს იქმნენ" — ა ჟ ა მ ო ლ ა ჟ

არძანს ქვიხინ; „პატრივი მიილოთ“ — „მიილოთ პატრივი“ —
რნკაქეჩქ ... ყაათისა:

8. ვეშაპი — ქიჯაყ: „აქუნდა ... მარცხენსა ვეშაპი“ — „ეპყრა ... მარცხენსა ვეშაპი“ — ილხიცი ... ჰბაქიონ ქიჯაყ:
9. ტანჯვა — ოსნუნსი: „ღირს მყავ მე ტანჯვა თა“ (ასევეა მეორეშიც) — არძანსი არაა ფის ოსნუნსაყ:
10. ქალაქი — ფაღაყ: „ეჩუნენს ეპისკოპოსსა მის ქალაქისასა“ — „გამოცხადნენს ეპისკოპოსსა მის ქალაქისასა“ — ყაიონხეა ხაქსიციყისი ფაღაყისი:

წარმოდგენილ ნუსხაში შეინიშნება, რომ საბადლოდ ყოველგან საერთო ხმარების სიტყვა არა გვაქვს. ზოგან მოსალოდნელი საერთო ხმარების სიტყვის ნაცვლად მისი ქართული სინონიმია (მაგ.: ერი — *ჟონჯი*; გება, მსახურება — *ჟონხი*), რაც იმას მოწმობს, რომ სომხურთან საერთო ხმარების სიტყვებს ქართულში სრული სანაცვლო საკუთარი სიტყვებიც ჰქონია, რომლებიც საჭიროებისაებრ კიდევ გამოიყენებოდნენ ხოლმე.

ქართულ თარგმანებში, ისე როგორც მათ დედანში, ზოგჯერ სომხურთან თუ ქართულთან საერთო ხმარების ისეთი სიტყვები მოიპოვება, რომელთაც ერთიმეორის საპირისპიროდ შეესატყვისება სულ სხვა წარმოშობის შინაარსობლივ შესაბამისი სიტყვა. ასეთებია:

1. დალიტი — ასხანსი: „დაჯდა დალიქსა მას. და მსაჯულიცა იგი მის თანა“ — „დაჯდა მთავრისა მის თანა“ — სითოს ყაიხისი ჩანოხბრე ფათასა ირასი:
2. ბილწი — ძანსი: „რამეთუ იყო კაცი ბილწი (მეორეში „მომსრველი“ არის) — იქ ღერ აყრ ძანსი“:
3. პატრივი — ყაათონასა: „იხილო პატრივი შენი“ (ორივეგან) — ოხსაქერ ფეიქისი ყაათონასანი:
4. სარყ' სარყალ — შემდგოთითა-შემდგომად: „ეგრეთ შემდგომითი-შემდგომად ფსალმუნსა ამას იტყოდეს“ (ორივეგან) — აყაყა სარყალ დასაყაისი ასხისი:
5. სასათქ — ფრიადი, დიდი: „იყო ნეფხვა და ყინელი ფრიადი“ — „იყო ნეფხვა და ყინელი დიდი“ — ღერ ყარყ ს ვიღრო სასათქ:
6. ქანაოხ — განსყიდა: „იოსების თანა განიყიდე“ (ორივეგან) — რნი მიქსაყაყა ქანაოხყაყ:
7. კათას — ქმელი: „რომელი-იგი იქვეი ზღუსა ზედა ვითარცა ქმელსა“ (ორივეგან) — ირ ვნასა ხი ქერაყ ბილი, ჰქრს კათასიქ:

აღნუსხული ვითარება ორ საგულისხმო მომენტს გვიჩვენებს. ჯერ ერთი მას, რომ მთარგმნელები სომხურთან საერთო სიტყვების გადმოცემის დროს არ არიან სრულად შებოქვილი დედნით, და მეორეც იმას, რომ სომხურთან საერთო სიტყვები, რომელთაც ქართული უპირისპირებს სომხურს, მკვიდრია, დიდი ხნით შემოსული ქართულში და გავრცელებული.

ამრიგად, ორმეოცთა მარტვილობის წიგნთა წარმოდგენილი ანალიზით ირკვევა, რომ

1. ქართულად მოიპოვება მარტვილობის წიგნის ორი რედაქცია.
2. ორივე რედაქცია წარმოადგენს ძველ თარგმანს, შესრულებულს ერთს ხანაში, სახელდობრ V—VIII სს-ში.
3. ერთიცა და მეორეც სომხურიდან არის ნათარგმნი.
4. დედნის გავლენის კვალი უფრო მეტად იმ რედაქციას ატყვია, რომელიც დაუცავს პარზლურ მრავალთავს (A—95). მეორე რედაქციას, შემონახულს H—1708 ხელნაწერში, დედნის გავლენის კვალი შედარებით ნაკლებად ამჩნევა, ამდენად მისი თარგმნაც შეიძლება უსწრებდეს პირველისას.

ტექსტიკისათვის

ქართული რედაქციებისათვის აღებულია ტექსტი შემდეგი ნუსხებიდან:
 A რედაქციისათვის ხელნაწერთა ინსტიტუტის H—1708-დან.
 B რედაქციისათვის ხელნაწერთა ინსტიტუტის A—95-დან.
 ის, რაც აქ საჭიროდ ვცანით შეგვეცვალა, სქოლიოშია ჩატანილი.

სომხური ტექსტი სამი ნუსხის მიხედვით იბეჭდება:

- A: ვენეციის გამოცემისა — *Վարդ և վկայագրանութիւնք սրբոց, հատըն-
 տիր քաղեսպէ ի ճաւընտրաց, հատիր Բ, Վենետիկ, 1874, էջ 506—514*;
 B: «მატენადარანისა» — № 78 (1204 წლის მრავალთავი).
 C: „ — № 1912 (1220 წლის მრავალთავი).

A

B

რებით ცხოვე[ნ]დებოდეს, აძულვებდეს მსახურებად კერპთა აგრიპოლაოზის მთავრობასა, მომსრველისა და უშჯულოასა და მოსწრაფისა აღსრულებად [59] საქმისა ეშმაკისასა. მას ეამსა რო-
მელნი ქრისტეანე იყვნეს ერსა მას შინა, ყოველნი აძულვებდეს მსახურებად კერპთა.

იყვნეს ერისა კაცნი ვინმე კაბადოკი-
აასა სოფლისანი გუნდსა შინა ერ[თ]-
სა, ცხოვედებოდეს კეთილად ღმრთისა მიმართ, რიცხუით ორმოცნი, უძლეველნი და მკნენი ბრძ[ო]ლასა შინა.

ესენი შეიპყრნეს¹ მთავრისა მის ბრძანებითა, აძულვებდეს გებად ეშმაკთა. იწყო მთავარმან მან სიტყუად მათდა: ერთობაჲ თქუენი გიჩუენებთეს ერთგულებით, ძლევაჲ [v] ურთიერთას ყო-

კეთილად მსახურებითა ქრისტეს მიმართ, ხარკსაცა მისცემდეს მსაჯულსა მას აგრიკოლასს, რამეთუ იყო იგი კაცი ბილწ და გარდაგულარძნილ და მოსწრაფ⁵ აღსრულებად ნებასა ეშმაკისასა. და ქრისტეანენიცა, რომელნი ერსა მას შინა იყვნეს, აძულვებდეს მათ, რაჲთამცა უზორეს.

იყვნეს ვინმე ერისა მისგანნი გამირეთისა სოფლისანი გუნდსა ერთსა შინა, ცხოვედებოდეს კეთილად-მსახურებით ღმრთისა მიმართ, რიცხვთ ორმოც, მკნედ მძლ¹⁵ ლუაწლსა შინა.

შეიპყრნეს იგინი ბრძანებითა მსაჯულისაჲთა, რამეთუ არა თავს-იდვეს ზორვად. იწყო მიერითგან მსაჯულმან მან მათა სიტყუად და ჰრქუა: ერთობით სიმკნე თქუენი გიჩუენებთეს მრ-

A ¹ შეიყუარნეს.

*ხին ვჩნოორჲ იმანჲ ჩ ჴამრავ ვაღაოტჲ, ჩ ვჩეჩ მჩოამ, ირჲ კხჩნ რარსაკაჯოოქხამჲ რათ ასათოძოქ, ჭოთოქ ჭოთასოინჲ, ათაჲჩხჩჲჲ ჯაჲქოიჲ ჩ აყათხრავამონსა, ირიგ ანოღანჲ ხნ აქოიქჩქ¹ ჩომსთხანნი, ყიღრხეჩო, ჳაოტჲ, ხლოქო, ხლნოქო, ჳაოტხანთი, ჴოღაქო, შარავოქო, შიხ-
ნო, ჳლნოთი, შხეჩო, შხნოთი, ჴიქიქოთი, ანსკასა, ხრაკოქო, ხეღხეჩო, ყიღრხე, ალხო, აოტჲანო, ალსკო, ჳაოტო, ხეჩო-
ოქო, ხლოქო, ხოქანსა, ჩიქოთი, ჩოქოქო, ჳლხოქო, ჳაოტო, ხეჩო, ხანოქო, ხეჩო, შლხოქო, ჩოქო, ჩოქოთი, აქანასო, ჭხოქო, ჴიქო, ჭხოქო, შხეჩოქო, ანოქო;*

¹⁰ *ათჲა რამონსაჲ ხინ 'ჩ ჰნო ვათაოორჲნ ჯათჲყხინ ვინჲ ვეღაჲ: შკასა აქანსათ ჯათაოორჲნ ჯასახე რეჲ ნოთა ჯ ასაქ. ჳანოტჲ მჩარასოქხანს ჰხოქ ვოცხაჲ 'ჩ აყათხრავამონსა, ვეჲქოქოქხინ ხეჩოვინჲ ვჩეღაჲ*

1 ვაღაოტჲ A. ჩ ვნეჲ C. 2 რათასოინ AC. ~ ათაჲჩხჩჲჲ ჯაჲქოიჲ ჩ აყათხრავამონს, ხოთოქ რათასოინ BC. 3 ანოღანჲ ხინ C. ჩხანთიანნი C. ყიღრხო A. 4 ხლოქო B. ხოქო BC. ჴოღაქო A. შარავოქო A, შარაკოქო BC. შიხანნი BC. 5 ჳლნოქო A. ხლხოქო C, შლხოქო B. ჴიქიქოთი AC. ანოქო A, ანოქო C. 6 ხეჩოქო A, აოტოქო A. ყიღრხო C. ჳაოტო A. 7 ჳქოქო A. ჴოქოთი A. ჳლხოქო BC. ჴაოტო A. 8 ანოქოთი B. ხოქო A. შარხოქო A, შარხოქო C. ჩომსა A. ჩიქოთი A. 9 ჭხოქო-ქო] შოქო A, ჭხოქო C. აქოქო A. ხეჩოთი A. აოტო B, აოქო C. 10 ათჲა + ამნსხრანს A. რამონსაჲ BC. ხინ ჩ ჰნო ვათაოორჲნ] ჩ ვათაოორჲნ BC. ჯ ათჲყხინ] აოქოქო ჯოთოქო BC. 11 ჯ ვათაოორჲ A. 12 ხეჩოქო ჴოქოთი A, ხეჩოქო ვნეღან C.

A

ველთავე ერსა შორის გიქმნიეს, აჩუ-
 [ე]ნეთ შეთქმულება¹ თქუენი და და-
 ემორჩილენით მეფისა შჯულსა და
 მსახურეთ ღმერთთა პირველვე სატან-
 ჯველადმდე. მიუგეს წმიდათა მათ და⁵
 ჰრქუეს მთავარსა მას: მოკუდავისათვს
 ვჰბრძოდით და ვსძლევდით, ვითარცა-
 ეგე შენ სწამებ, რავდენ უფროს უკ[უ]-
 დავისათვს მეუფისა ვჰბრძოდით² და
 ვილუაწოთ და ვსძლოთ შენსა მაგას¹⁰
 ბოროტის მეცნიერებით ზრახვასა?!
 აგრიკოლაოზ მთავარმან თქუა: ერთი
 ორთაგანი წინა გიც თქუენ: ანუ მსა-
 ხურებაა ღმერთთა, წარჩინებაა და
 მიღებაა პატივისა, [60] ანუ არა —¹⁵
 დამორჩილებაა და მოღებაა ცხორე-
 ბისა და პატივისა. აწ განიზრახეთ
 და გამოირჩიეთ უმჯობესი თქუენდა.
 ხოლო წმიდათა მათ ჰრქუეს: უმჯო-
 ბესი ჩუენთვს უფალმან იზრუნოს³.

მთავარმან ჰრქუა მათ: ნუ მრავალსა
 იტყუითა, არამედ ხვალე მოედით²⁵
 და ჰმსახურეთ ღმერთთა. და ბრძანა
 მათი საპყრობილესა შესხმა.

A: ¹ შეთქმობლება. ² ჰვბრძოდით. ³ იზრონოს.

B

ვალსა ლუაწლსა, და ვითარ-იგი
 ჰმენდით და სძლეთ ორთა მათ გუნდ-
 თა, აჩუენეთ აწცა და დამორჩილე-
 ნით რჩულსა მეფისასა და უზორეთ
 ღმერთთა, რაათა არა დაგერთოს ტან-
 ჯვაა ტანჯვასა ზედა. მიუგეს წმიდათა
 მათ და ჰრქუეს მძლავრსა მას: უკუე-
 ეთუ მოკუდავისა მაგისთვს მეფისა
 შევიდით ლუაწლსა და მძლე ვექმნ-
 ნით, ვითარცა-ეგე შენ სწამებ, რავდენ
 არა უფროს უკუდავისა მისთვს მრავ-
 ლითა ტანჯვითა ვსძლოთ უკეთურსა
 მაგას შენსა ზრახვასა?! აგრიკოლაოს
 მსაჯულმან ჰრქუა: ორთაგანი ერთი
 ყავთ: ანუ უზორეთ ღმერთთა — და
 პატივისა და ნიჰსა ღირს იქმნენთ, უკუ-
 ეთუ არა დამორჩილენთ, აღიღოს
 ცხორებაა თქუენი ერისა ამისგან. აწ
 იზრახეთ და გამოირჩიეთ, რომელი
 უმჯობეს გიჩნდეს. წმიდათა მათ
 ჰრქუეს: ჩუენ შემძლებელსა ღმერთსა,
 რომელმან ილუაწოს ჩუენთვს, ვჰმსა-
 ხურებთ.

ჰრქუა მსაჯულმან მან: ნუ მრავალ-
 სა იტყვთ, არამედ ხვალე მოვედით
 და უზორეთ ღმერთთა. და ბრძანა
 მიცემა მათი საპყრობილედ.

*ღნბაქსვიცტე, აიღე ვიცტე და აქამ დამხარანოქჩინ ბხრ და ნაღანსყარიოდ
 ადრინაყ მადგაღორინ, და დინხეტე ასთოღბიგნ ქაოაღ დან დთანჯანა: სთონ
 აყათასქანსი სორცენ და ასინ ვერნაღორინ. ში მხ ქასან მარქანსაგიო მად-
 გაღორინ აყათხრაღმხაქ კაღქმხაღ, ირატს და დო მსქ ქსქას, ირჯაქ და
 აოღანქ ქასან ანამარჩინ ზგნხაქ კაღქმხსვიცტე დომ ჯარანაროქ სორრეღიქ: ⁵
 ზათაღორინ ასქ. ში ქერქოღ აოაღქ კაქ ბსღ კამ დინქ ასთოღბიგნ და ქაოა-
 ჯანაქ ბსღ ქ აყათისა და აყარცსაგ არბანსი ქინქ, და მხ იღ ნაღანქ, რათ-
 ნაქ ქ კხნაგუ სრიქ: სორცენ ასინ. ჯადგათაკარნ მხრ მათოღბ ნიღასეტ:
 მადგათაღორინ. ში ჯათ ხაღსქ, აიღ ქ ქაღქინ ხსქაქ დინხეტე ას-
 თოღბიგნ: ნღ ზრამაქსაგ თანსქ დნიოა ქ რანო:*

1 დამხარანოქჩინ A. 2 რადგორაგნ C. დთანჯანსნ AC. 3 ვერნაღორინ — A. მხ] ლქ A. რადგორინ BC. 4 კარცხაგ A. 5 ნგნხაქ AC. სორრეღიქ AC. 6 ბხრ AC. დინხეტე A. 7 ხ აყარცსაგ — C. ~ ქ აყარცხს და ქ აყათისა A. არბანსი ქინქ — AC. ლ] აყა A. 8 ქ კხნ-
 საგ C. სრიქ — A. 9 ~ რათაღორინ ასქ A. ჯათაქსაიქ A. ქ ქაღქინ] ქაღქინ A. 10 დნი-
 სა — BC. ქ რანქ BC.

A

B

ხოლო იგინი ვითარცა შევიდეს სა-
პყრობილესა, მოიდრიკნეს მუჭლნი¹
და ვევედრებოდეს ღმერთსა და იტყ[ო]-
დეს: განმარინენ ჩუენ, უფალო, ყოვე-
ლისაგან განსაცდელისა და საცთუ-
რისა, რომელნი იქმან ურჩულოებასა.
[V] და ვითარ შემწუხ[ი]რდა, იწყეს
ფსალმუნებად² ფსალმუნსა³ ამას: რო-
მელი დამკუიდრებულ არს შეწევნასა
მალლისასა, ზეცას განისუენოს; ჰრქუას⁴
უფალსა: ტელის ამ[პ]ყრობელი ჩემი
ხარი შენ, შესავედრებელი და ღმერთი
ჩემი. მე ვესავე მას, რამეთუ მან მიჯს-
ნა მე საფრკისა მისგან მონადირეთა-
ჲსა და სიტყუისა მისგან განსაკრთომე-
ლისა*. და ვითარცა წართქუეს ფსალ-
მუნი ესე, ლოცვა ყვეს, აღდგეს ლო-
ცვისა მისგან და მერმე ფსალმუნებ-
დეს⁴ ვიდრე შუა⁵ ლამემდე. წინამძღუარ
მათდა იყო ლოცვისა წმიდაჲ კუირი-
ონ, ხოლო სიტყუის-მიგებასა წმიდაჲ
დომინოს და კანდიდოს. [61]. და გამო-
ეცხადა მათ უფალი და ჰრქუა: გულს-
მოდგინებაჲ თქუენი კეთილ არს, არა-
მედ რომელმან დაითმინოს, იგი სრუ-
ლიად ცხოვნდეს. მაშინ ყოველთავე ეს-
მა ჳმაჲ იგი და იქმნეს უძილ. და გა-

და ვითარცა შევიდეს იგინი საპყრო-
ბილესა მას, შეიდრიკნეს მუჭლნი მათ-
ნი, ილოცვიდეს ღმერთისა მიმართ და
იტყოდეს: განმარინენ ჩუენ, უფალო,
განსაცდელისაგან და საცთურისა,
რომელნი იქმან ურჩულოებასა. და ვი-
თარცა შემწუხრდა, იწყეს გალობად
ფსალმუნითა ამით: რომელი დამკუი-
დრებულ არს შეწევნითა მალლისათა
საფარველსა ღმერთისასა, ზეცას განი-
სუენოს; ჰრქუას უფალსა ტელის
ამპყრობელი ჩემი ხარი შენ, შესავედ-
რებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე
ვესავე მას, რამეთუ მან მიჯსნა მე სა-
ბრკისა მისგან მონადირეთაჲსა და
სიტყუსა მიერ განსაკრთომელისა*. და
ვითარცა დაასრულეს ფსალმუნი ესე,
თაყუანის-სცეს უფალსა და აღმართ-
ნეს ყოველნი. და მერმე ფსალმუნებ-
დესვე ვიდრე შუეა ლამედმდე. წინა-
მძღუარ იყო მათა ლოცვისა აღსრუ-
ლებასა კვირონ, ხოლო სიტყუს-გებასა
წმიდაჲ დომინოს და კანდიტოს. მას
ეამსა გამოეცხადა მეცხოვარი და
მჯსნელი და ჰრქუა: კეთილ არს, რო-
მელ-ეგე ინებეთ. ხოლო რომელმან
დაითმინოს იგი სრულიად, ცხოვნდეს.

A ¹ მოჭლნი. ² ფსალმონებად. ³ ფსალმონსა. ⁴ ფსალმონებდეს. ⁵ შოა. * ფს. 90,1-3.

*სე მთხალ ჰ რანთს, სინარხნოცხნ ჰონრ, ს ყაყჩნ ყაღაღჩა თი თქრ
ს აასნ. ჰხრბი დამე, თქრ, ჰ ფირბოქხნტა ს ჰ ფაქქაღოქხნტა, ირ ფირბხნ
დანარქნოქხნ: ჰერს ხრხიო ხელ სყასან ხრფელ დსაღმთსა დაყა. ჩნაკსაღნ
ქადნოქხნ რარბრხიო, რნე რიქანხაღ მათოთიო ქერქხნსა რანდჩე: მსა
თხანნ⁶ რნეონხნქ ჰმ ხა რი, მათოთაბ ააყაღნ ჰმ. ს ხა ქოსამ ჰ ნა, დჩ ნა
ფრქხსეც დამე ვირიფაქქე ირთიოე (90,1-3); სე კათარხალ დსაღმთსა, ყაყჩნ
ყაღაღჩა მჩნჯ ს მქე დჩხერჩნ: სე ათაჯნორქერ ნიოე ყაღაღჩან სილერნ ყილ-
რჩიო, ჰსქ ჰ აყათაქანანათოქხნსა სილერნ ყანდქითი ს რინსია: მაქნტამ
ხრსსალ ფრქჩნ აან. რაროღ ჰ ქადქაროქხნე ბსრ. რაყე ირ რამდრხსეც
ჰ აყათ, ჰხეცე: სე ამქნხეონ ქოსალ ხეღნ ჰ მხბქ ხრქიღქ, ს ანდონ*

1 მთხალ + სრფენ A. ჰ რანღნ BC. კაქინ C. თი თქრ --- A. 2 თაქინ C. თქრ --- B. ჰ ფირბოქხნტა] ვირიფოქიე A. ჰ ფაქქაღოქხნტა BC. 3 ხრფელ] თხელ B. 4--6 თაა თხონნ ...
ბრთიოე --- BC. 6 დსაღმთს] დსაღმთს A, დსაღმთს + ს ასაგხალ დამქნ ს დარბხალ A.
7 ხ] რაყე A. ყილჩინ A. 8 ჰ აყათაქანანქინ A. ყანთითი B. რინსია BC. 9 ფრქჩნ C.
ასაგ A. რაროღ BC. ქადქაროქხნ C. რაყე] აქ C. 10 ნა ჰხეცე BC [ოსალ ხეღნ] ქხალ A.

A

ნათიეს ლამეა იგი ვიდრე ცისკრად-
მდე. მოუწოდა ყოველთა მეგობართა
მისთა მთავარმან მან და ჰბრძანა მო-
ყუანება მათი. ხოლო წმიდანი ესე
ორმოცნი მოვიდეს და დადგეს წი-
ნაზე მთავრისა მის. და იწყო სიტყუად
მათდა, ჰრქუა: რომელი მეგულების
სიტყუად, არა ლიქნით ვთქუა, არამედ
ვითარცა არს; რაედენნი ესე არიან
თუითმ[პ]სკრობელისა ქუეშე, არაიენ¹⁰
არიან თქუენებ[რ] შუენიერ, [v] ბრძენ
და საყუარელ ჩუენდა, ვითარცა თქუ-
ენ. აწ ნუ სიყუარულსა ნუ სიძული-
ლად გარდააქცევთ. ესე თქუენ ჰელ-
გეწიფების მოძულება და შეყუარე-¹⁵
ბაა. წმიდამან კანდიდოს თქუა: გო-
ნებისა შენისებრ სახელი გეწოდა
შენ აგრიკოლაოზ,—ველური¹ მლიქნე.
მთავარმან თქუა: არა გარქუ თქუენ,
ვითარმედ ჰელ-გეწიფების სიძულილი²⁰
და სიყუარული?

სახელი შენი აგრიკოლაე, რამეთუ უდაბნოდ განქცეულ ხარ სიციბილით. [426]
მსაჯულმან ჰრქუა: არა გარქუა შენ, ვითარმედ ჰელთა შინა თქუენთა არს,
ვითარმცა საყუარელ იყვენით ანუ საძულელ?

A: ¹ ველორი.

B

და ყოველთავე ესმა კმაე ესე და შეე-
შინა შიშითა დიდითა და უძილ იქმნეს
განთიადლმდე. ხოლო მსაჯულმან მან
მოუწოდა ყოველთა საყუარელთა თვსთა
და ბრძანა მოწოდება წმიდათა მათ.
და ვითარცა მოვიდეს ორმოცნი იგი,
დადგეს წინაზე მსაჯულისა მის. ჰრქუა
მათ მსაჯულმან მან: რომელ-ესე მე-
გულების სიტყუად თქუენდა მიმართ,
ნუ ესრტ ჰგონებთ, ვითარმედ ლიქ-
ნით რაამე არს, არამედ არსვე ეგრტ,
რამეთუ ყოველნი ერისა კაცნი თვთნე-
ბისა ამის მეფისა ქუეშე არიან, არა-
იენ არს თქუენებრ მეცნიერ და არცა
საყუარელ, ვითარ-ეგე თქუენ საყუ-
არელ ხართ ერსა შორის. აწ უკუე ნუ
სიყუარულსა მას სიძულილად გარდა-
აქცევთ, ჰელთა შინა თქუენთა არს,
ვითარმცა საყუარელ იყვენით ანუ სა-
ძულელ. წმიდამან კანდიდოს ჰრქუა
მსგავსად სახისა მაგის შენისა დაგედვა

*ქნხტინ მჩნჯს კათალალონი: ჩასკ ღათოლორნი კიჯხალ ღამსნაჲს ახრისქისა ჩიღი,
ჩრამაქხაგ აბხღ გნითა ქათსანთ: სე ჩერს ხსქინ, ასე გნითა ღათოლორნი. ღირ
ქალასლიღს ხმ რნე ბეღ, იჯ ირყესა ღნორილიქა ჩნჯ არსსლიე ასსამ, აქე ირყესა
ქს ჩასკ. ვჩ ირყესა ირე მჩანფამ ვჩნოლორხალ ხნ' რნე ჩნგნასკალ ქაღალო-
როანი ხნ. ჯხნ ჩერს ვბსღე ღანსარხეღე ღ იჯ აჩნყესა რარხნჯანე ღ იჯ ვიჯნ-
ყესა ახრისგსალე ჩ მქნჯ: სკრე მჩ' ვსქენ ქათხელიქინ ღარბოღსანქე, ღანვჩ*⁵
ჩ ბსრ ბხით ღ ახრისქს ღ ათხსქს:

*სოიღრნი ღანღჩითითი ასაგე, ღასი რარიიეღე დიე სეღალ დსე არსონ სკერსკი-
ღაქისა, ღანვჩე ქაქრხსჩი იღაღაღეღით სის: 'ქათოლორნი ასაგე. ღასაგე' ქს ჩ
ბსრ ბხით ღ ახრისქს ღ ათხსქს:*¹⁰

1 [ქინსქინ] კაგჩინ BC, გაოლალონი A. ღამსნაჲს — A. ვჩრისქისა A. 2 ვნითა] ვაღიღრსნ
A. ქათხანს A. ხსქინ] თბქინ B, აბან C. 3 ირყეს] ათ A. აანხსიე AC. ირყეს — AC. 4 ირე]
ორ A. ვჩნოლორხა ხს] ვჩნოლორ A. რაღალორჩინ A. 5 ხნ — BC. ვბსღე AC. იჯ — B. აქე] ათ A.
რარხნჯანე] ვჩეხსქს A. იქსყეს] იქს C. 7 ბხით C. ~ ათხსქს ღ ახრისქს A. 8 ასე] სოღრნი
ქანთითი B. რარიღე დიე A, რარიიეღე რიღ C. 9 ასე A. კასხს B. ხსე A. 10 ბხით A.
~ ათხსქს იღ ახრისქს A.

A

B

კანდილოს თქუა: რამეთუ ჩუენ ჰელ-
 გუეწიფების სიძულილი და სიყუარუ-
 ლი, შენ გ[უ]ძულ და ღმერთი ჩუენი
 გუიყუარს, ხოლო შენ ველურ ქმულ¹
 ხარ ღმრთისაგან და მოძულებულ. ნუ⁵
 მეტყუი სიყუარულსა შენსა, [ფ2] არა-
 ღირსო და მოშურნეო და დაფარულო
 ბნელისაო, სახელ ველურო².

კანდიკოს თქუა: ჰელთა ჩუენთა თუ
 შინა არს, ვითარმცა საყუარელ ვიყვე-
 ნით ანუ საძულელ, შენ გუძულ და
 ღმერთი ჩუენი გყუარს, ხოლო შენ
 გაუცხებულ ხარ ღმრთისაგან და მო-
 ძულებულ. ნუ ჰგონებ, ვითარმცა სი-
 ყუარული რაამე ჰპოე ჩუენგან შენდა
 მიმართ, არაწმიდაო და თულ-ბო-
 როტო, დაფარულო ბნელსა შინა და
¹⁰ უდაბნოდ გაქცეულო.

ვითარცა ესმა ესე მთავარსა მას, იზა-
 ხა ვითარცა ლომბან, და ბრძანა შეკრვაჲ
 მათი და თრევით მიმოყვანებად საპურო-
 ბილედ. წმიდამან კუირონ თქუა, რამე-
 თუ არა გაქუს ჰელმწიფებაჲ ტანჯვად¹⁵
 ჩუენდა, არამედ კითხვად. მაშინ შეეშინა
 მთავარსა მას და ბრძანა ვსნილთა წარ-
 ყვანებაჲ მათი საპურობილედ. და ამც-
 ნო აგუილას მესაპურობილეთ³-მოძლუ-
 არსა, რაჲთა კრძალულად⁴ სცვიდეს,²⁰
 რამეთუ მოელოდა იგი ღუქსისა⁵ მის
 მოსლვასა. ხოლო ღღესა მას ღღე ყო-
 ველ ასწავებდა მათ წმიდაჲ კუირონ
 და ეტყოდა: [V] ბრძანებითა ღმრთი-
 საათა შეკრებულ და მოყუას ქმულ²⁵
 ვიყუენით, ძმანო, ერისკაცობასა ამას

და ვითარცა ესმა ესე მსაჯულსა
 მას, შეიღულარჰნა ვითარცა ვეფხი
 და უბრძანა შეკრვაჲ მათი და თრე-
 ვით მითრევაჲ საპურობილედ. ჰრქუა
 წმიდამან კანდილონ: არავეინ მოგცა
 შენ ყოფაჲ, ვითარმცა ესრეთ დაგუსა-
 ჯენ ჩუენ. მას ეამსა შეეშინა მსაჯულსა
 მას და ბრძანა ვსნილად მიყვანებაჲ
 მათი საპურობილედ. და ამცნო ანგეას
 მესაპურობილეთ-მოძლუარსა კრძალ-
 ვით დამარხვაჲ მათი, რამეთუ მო-
 ელოდა ღუქსისა მას. ხოლო წმიდანი
 იგი ღღე ყოველ და ღამე ყოველ ის-
 წავებდეს წმიდისა კურონისგან, რა-
 მეთუ ეტყოდა მათ ესრეთ, ვითარმედ:
 განგუაწესნა ჩუენ ღმერთმან მოღვა-

A: ¹ ქმნოლ. ² ველორო. ³ მესაპურობილედ. ⁴ კრძალულად. ⁵ ღოქსისა.

*Կանդիտոս ասաց. Եթե ի մեր ձեռս է սիրելն և ատելն, զձեզ ատեմք և
 զԱստուած մեր սիրեմք. բայց դու աստարացեալդ զԱստուծոյ, մի ակն ունիր
 սիրելոյ ի մէջ անսուրբ ծածկեալդ ի խաւարի և վայրենի անուն:*

*Իբրև լուսւ զայս բռնաւորն մրմնակ իբրև զանձ, հրամայեաց կապել և
⁵ ի քարշ տանել ի բանտն: Ասէ սուրբն Կիւրիոյն. Չառեր իշխանութիւն դատել
 զմեզ, այլ հարցանել: Յայնժամ երկուցեալ զատաւորն, հրամայեաց արծակս
 տանել զնոսա ի բանտն. պատուէր տուեալ Ազդեայ բանտապետի զգուլութեամբ
 պահել զնոսա. զանգի անսայր զպալտեան դըսին: Իսկ սուրբքն գտին և զգի-
¹⁰ շերն ամենայն ուսանելն ի սրբոյն Կիւրիոյն. զանգի ասէր ցնոսա, թև Լաս
 մատակարարութեան Աստուծոյ ընկերք եղեաք յայմիլ յառժամանակեալ
 զինուորութեանս. արդ մի՛ անջատեսցուք ի միմեանց, այլ որպէս կեցաք հա-*

1 սուրբն Կանտիտոս BC. 2 զԱստուածն BC. աստարացեալդ] ատեցեալ BC. 3 անուրբ
 BC. ծածկեալ A. և — A. 4 զանձ] զգագան A. 5 ի բանդ BC. սուրբն — A. 6—7 արծակ հրա-
 մայեաց տանել A. 7 ի բանդ BC, ի բանտ A. Ազդեայ — BC. բանդապետին BC. 8 ցնոսա +
 և գբանց BC. գտի և գգիշք A. 9 Կիւրիոն A. քն] եք AC. 10 մատակարարութեան BC.
 եղաք C. յառժամանակեայ] ի ժամանակեայ A. 11 զինուորութիւն BC. կեցաք] կացաք AC.

A

შინა, ცმანო. აწ ნუმცა განვეშორებით ურთიერთას, არამედ ვითარცა ვცხოვრდებოდეთ¹ ერთგულად, ეგრეცა ვწამოთ, და ვითარცა სოფელსა ამას შინა სათნო ვეყვენით საწუთროსა ამას⁵ ჯორციელთა. მეფეთა, ეგოცა ვისწრაფოთ სათნო ყოფად ღმრთისა მეუფისა დიდებისა². და ვითარცა წარვლდეს შუიღნი დღენი, ხოლო წმიდანი იგი იყვენესა საპრობილესა შინა.¹⁰ და მოვიდა დუქსი კესარისაჲთ [63] და შევიდა სებასტიად და დაჯდა მთავრისა მის თანა, და მერვესა დღესა ბრძაქნა მოწოდებაჲ მათი. და ვითარცა მოჰყვანდეს წმიდანი იგი, ას-¹⁵ წავებდა მათ წმიდაჲ კუირონი და ეტყოდა: ძმანო, ნუმცა შეგშინდებით, რამეთუ რაჲმს იგი ბრძოლასა შინა ვიყვენით, ვხადოლით ღმერთსა, და შეგუეწიის ჩუენ. მოიკსენეთ, ოდეს იგი²⁰ ბრძოლასა შექედით დიდსა და ყოველნი ივლტოდეს, და ჩუენ შორის ხოლო მათსა ვიპოვენით ზარტოდ ორმეოცნი და ცრემლით ვხადოლით, და მოგუცა ჩუენ ძალი, და რომელნი-²⁵ მე მოესრენით და რომელნი [v] მე

A: ¹ ვცხოვრდებოდეთ. ² დიდიდებისასა.

B

